დადგენილება N 15/2026 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მუსიკოლოგია“ სასწავლო გეგმის ცვლილებისა და დაზუსტებული სახით დამტკიცების შესახებ "სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის" ინტეგრირების მიზნით

დადგენილება N 15/2026
თარიღი: 27 აპრილი, 2026 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე და 63-ე მუხლების „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 12 აგვისტოს #65/ნ ბრძანების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საბაკალავრო პროგრამებზე „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის“ სილაბუსის დამტკიცების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 04 ნოემბრის № 27/2025 დადგენილების, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 30 მარტის #03 სხდომის ოქმიდან ამონაწერისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 27 აპრილის N04 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მუსიკოლოგია“ სასწავლო გეგმაში, "სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის" ინტეგრირების მიზნით და დამტკიცდეს დაზუსტებული სახით თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ცვლილება გავრცელდეს 2025-2026 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ სტუდენტებზე.
3. დადგენილება გადაეგზავნოს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულებისა და პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტთა

მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურს.
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
6. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი